06/03/2026

ირანში მიმდინარე ომის გამო ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანები საფრთხის ქვეშ არიან



კათოლიკური უფლებადამცველი ორგანიზაცია აცხადებს, რომ ახალი ესკალაციის პირობებში რეგიონის ქრისტიანული თემები გაქრობის ზღვარზე მივლენ.

ორგანიზაციის აღმასრულებელმა პრეზიდენტმა, რეგინა ლინჩმა განაცხადა, რომ “ძალადობის ახალმა სპირალმა ისედაც მოწყვლადი თემები შეიძლება მიიყვანოს იმ წერტილამდე, სადაც გადარჩენა უკვე შეუძლებელი იქნება. ომის გამო ყველაზე მეტად მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება, ქრისტიანები კი მათ შორის ხშირად ყველაზე დაუცველები არიან”.

ირანში ქრისტიანები განიცდიან დევნას, დისკრიმინაციას, განსაკუთრებით კი ახლადმოქცეულები. ამ მხრივ განგაში ნარჩუნდება მეზობელ ქვეყნებშიც: ერაყში, ლიბანში და სირიაში, სადაც ქრისტიანულ თემებს უწევთ არასტაბილურ გარემოში ცხოვრება.

ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ბევრმა ქრისტიანმა უკვე დატოვა რეგიონი, ხოლო ვინც დარჩა, ძირითადად მოხუცები და უკიდურესად ღარიბები არიან.

sazu.ge